

ქართველ ექსპერტთა მიერ შემუშავებული
ანგარიშები & რეკომენდაციები
2014

შინაარსი

EUA დაფინანსების ფორუმი	3
ხარისხის უზრუნველყოფის მეცხრე ევროპული ფორუმი	7
UNICA-ს სემინარი “სიახლე სწავლება - სწავლის მიდგომებში”	10

EUA დაფინანსების ფორუმი

*უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი
ქეთევან გურჩიანი*

*9-10 ოქტომბერი 2014
ბერგამო, იტალია*

1. ფორუმის პროგრამა

ფორუმი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. დღის ერთი ნახევარი ეთმობოდა საერთო სესიებს, ხოლო მეორე ნახევარი - თემატურად დანაწილებულ სემინარებს. ფორუმის პირველ დღეს მიმოიხილეს რამდენიმე ევროპული პროექტის მიგნებები, რომლებიც ეხებოდა დაფინანსებისა და წახალისების სხვადასხვა მექანიზმებს. თემატური სესიები შემდეგ თითოეული პროექტის გარკვეულ ნაწილებს ან დაფინანსების მოდელებს ეთმობოდა.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ პირველ დღეს წარმოადგინეს პროექტის DEFINE კვლევის მეთოდოლოგია და ძირითადი შედეგები. ამ პროექტის შედეგების განხილვა იყო ფორუმის ძირითადი თემა.

10.00 – 11.00 Presentation of DEFINE project findings

მობსენება წარმოადგინა Thomas Estermann, EUA Director for governance, funding and public policy development.

პროექტის შედეგების წარმოდგენის შემდეგ პროექტში ჩართულ უნივერსიტეტებს მიეცათ აზრის გამოთქმის და საკითხის განვრცობის საშუალება.

University leaders' panel

o Alain Beretz, President, University of Strasbourg, France

o Ingmar Björkman, Dean of Aalto University School of Business, Finland

o Per Holten-Andersen, President, Copenhagen Business School, Denmark

o Joachim Hornegger, Vice-President for Research, Friedrich-Alexander University of Erlangen-Nuremberg, Germany

Chair: Pedro Teixeira, Vice-Rector, University of Porto, Portugal

პარალელური თემატური სესიები მოიცავდა:

Session 1 Performance-based funding in higher education and research

o Dieter Dohmen, Managing Director, Institute for Education and Socio-Economic Research (FiBS), Germany

o Peter Rokers, Controller, HAN University of Applied Sciences, The Netherlands

o Jeroen Vanden Berghe, Chief Logistics Administrator, Ghent University, Belgium

Session 2 University mergers and concentration measures

o Janco Bonnink, Head of Policy, VU University Amsterdam, The Netherlands

o Gust Janssen, Finance Director, Hasselt University, Belgium

o Catherine Maunsell, Director of Quality Promotion and Assurance, St. Patrick's College, Drumcondra, A College of Dublin City University, Ireland

Session 3 The role of leadership to steer through restructuring and funding changes

o Jean-Pierre Finance, Permanent Delegate in Brussels, Conference of University Presidents, France

o Stephen Hwang, Rector, Linnaeus University, Sweden

o Angelo Riccaboni, Rector, University of Siena, Italy

Session 4 The impact of austerity policies on funding systems & university activities

o Stefano Paleari, Rector, and Michele Meoli, Assistant Professor, University of Bergamo,

o Carmen Perez-Esparells, Former Vice-rector for Innovation, and Fernando Casani, Associate Professor, Autonomous University of Madrid, Spain

o Respondent: Mike Jennings, General secretary of IFUT (The Irish Federation of University Teachers), Ireland

საღამოს სესია დაეთმო გარე ხედვას, ჩრდილოეთ ამერიკის პერსპექტივას.

o Arthur M. Hauptman, Higher Education finance specialist, USA

o Alex Usher, Director, Higher Education Strategy Associates, Canada

Chair: Liviu Matei, Provost/Pro-Rector, Central European University, Hungary

19.00 Dinner

Address by Giorgio Gori, Mayor of Bergamo

10 ოქტომბრის პროგრამა დაიწყო დაფინანსების ობსერვატორიის შედეგების პრეზენტაციით.

09.00 – 09.30 Presentation of the 2014 release of EUA's Public Funding Observatory

o Enora Bennetot Pruvot, Programme Manager, European University Association

შემდეგი სესია მიემდვნა საკითხს, თუ რა გავლენას ახდენს ევროგაერთიანება საუნივერსიტეტო სექტორის რესტრუქტურისა და ცვლილებაზე.

09.30 – 10.30 European funding schemes and their impact on universities

o Wolfgang Burtscher, Directorate General Research and Innovation, European Commission

o Christian Ehler, Member of the European Parliament and former Rapporteur on the Rules for Participation of the Horizon 2020 Framework Programme

o Marcin Pałys, Rector, University of Warsaw, Poland

o Simon Roy, Directorate General Education and Culture, European Commission

Chair: Thomas Estermann, Director, Governance, Funding and Public Policy

Development, European University Association

11.00 – 12.30 Parallel thematic sessions

o Luisa Cerdeira, Professor, University of Lisbon, Portugal and Maria de Lourdes Machado-Taylor, Researcher, Centre for Research in Higher Education Policies, Portugal

o Johannes Wespel, Researcher, and Dominic Orr, Senior Researcher, German Centre for Research on Higher Education and Science Studies, Germany

o Respondent: Erin Nordal, Vice-Chairperson, European Students' Union

Session 6 Funding for excellence: lessons learnt

o Alain Beretz, President, University of Strasbourg, France

o Luis Delgado, Advisor, Ministry of Education, Culture and Sport, Spain

o Stefano Fantoni, President, National Agency for the Evaluation of the University and Research Systems, Italy

Session 7 Institutional efficiency strategies

o Pieter-Jan Aartsen, Corporate Controller, University of Amsterdam, The Netherlands

o Chris Hale, Assistant Director of Policy, Universities UK

Session 8 Challenges to higher education financial sustainability in the Eastern Neighbourhood Area

o Karine Harutyunyan, Deputy Minister for Education and Science of Armenia and

Kristina Tsaturyan, Head of International Cooperation Unit, Khachatur Abovian Armenian State Pedagogical University, Armenia

o Viktor Kozyuk, Vice-Rector, Ternopil National Economic University, and Nataliia

Konstantiuk, Associate professor, Ternopil Ivan Pul'uj National Technical University, Ukraine
Funders' panel

o Fergal Costello, Head of Systems Governance and Performance Management, Higher Education Authority, Ireland

o Anne-Marie Engel, Director for Research, Lundbeck Foundation, Denmark

o Wim van Niekerk, Programme Manager, Ministry of Education, Culture and Science, the Netherlands

Chair: Stefano Paleari, Rector, University of Bergamo, Italy

15.00 – 16.00 Final plenary session

o Report by Liviu Matei, Provost/Pro-Rector, Central European University, Hungary

o Closing by Lesley Wilson, EUA Secretary General and Stefano Paleari, Rector of the University of Bergamo

2. კონფერენციის მონაწილეები

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ევროპის ქვეყნების უმეტესობის უნივერსიტეტების რექტორები ან ადმინისტრაციის პირველი პირები, ასევე სამინისტროების, კვლევითი ორგანიზაციების, ფონდების პრეზიდენტები ან სხვა პასუხისმგებელი პირები.

3. კონფერენციის მთავარი თემა

კონფერენციის მთავარი თემა იყო დაფინანსების და წახალისების, ასევე საუნივერსიტეტო სივრცის ეფექტურობის გაზრდის სხვადასხვა მოდელები. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო უახლესი ევროპული პროექტის (EUA) DEFINE შედეგები, რომელმაც შერჩეული ევროპული უნივერსიტეტების მაგალითზე შეისწავლა დაფინანსებისა და ეფექტურობის გაზრდის განსხვავებული გზები: 1. პერფორმანსზე ან შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების სისტემა, 2. სხვადასხვა უნივერსიტეტების და/ან სამეცნიერო ინსტიტუტების შერწყმა და გაერთიანება, 3. Excellence ინიციატივები და განსაკუთრებით წარმატებაზე აწყობილი სქემები და გაანალიზა, როგორ ახდენს გავლენას ეს მექანიზმები უნივერსიტეტის მენეჯმენტსა და საქმიანობაზე. ფორუმზე ასევე წარმოდგენილი იყო დაფინანსების ობსერვატორიის ბოლო შედეგები. ობსერვატორია დაარსდა 2008 წელს და მისი საშუალებით EUA თავიდან აკვირდებოდა ეკონომიკური კრიზისის გავლენას უნივერსიტეტებზე. ახლა იგი უკვე ჩამოყალიბდა ყოველწლიური დაკვირვების ინსტრუმენტად.

ფორუმზე ასევე განიხილეს, რამდენად უწყობს ხელს ევროგაერთიანება განათლების პროექტების საუნივერსიტეტო სივრცის რესტრუქტურირებას და ეფექტურობის გაზრდას. კვლევებმა აჩვენა, რომ ევროპაში დიდი უთანაბრობაა და აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნები არ აჩვენებენ ზრდის და განვითარების ტენდენციას. ეს ეხება, როგორც გამოყოფილ დაფინანსებას, ისე უმაღლეს განათლებაზე წვდომასა და ავტონომიას. პროექტ ათენას ფარგლებში წარმოდგენილი იყო უკრაინისა და სომხეთის პრობლემური მაგალითებიც.

4. სემინარის მასალების რელევანტურობა საქართველოსთვის

დაფინანსების ფორუმი ბევრი კუთხით იყო საინტერესო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კვლევების შედეგები, რომლებიც გვაჩვენებს, რომ ნებისმიერი მოდელის არჩევა საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომას ითხოვს. ასე მაგალითად, თუ

ქვეყანა აირჩევს, რომ შედეგებზე დაფუძნებული სისტემა ჰქონდეს, გათვალისწინებული უნდა იყოს მისი როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. ნებისმიერ ინდიკატორი, რომლითაც წარმატება გაიზომება, ცალკე აღებული ვერ იქნება წარმატების მომტანი. დაფინანსების სქემების ცვლა მთლიანად სისტემაზე ახდენს გავლენას, ამიტომ მიზანი ნათლად უნდა იყოს გააზრებული. თუ გაცემული დიპლომების რაოდენობა იქნება ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორი (როგორც ევროპის მრავალ უნივერსიტეტშია ამ სქემის შემთხვევაში), უნივერსიტეტებში უნდა არსებობდეს ძლიერი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც დიპლომის რაოდენობას ხელოვნურად არ გაზრდის და მსხვერპლად არ შეეწირება ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო აპირებს სხვადასხვა უნივერსიტეტების ან სამეცნიერო ინსტიტუტების გაერთიანებას, მსგავსი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არსებული კულტურიდან გამომდინარე და აწონ-დაწონოს, რა შემთხვევაში იქნება ეს პროცესი უკეთესი შედეგის მომტანი. თავისთავად ამ მოდელის უპირატესობა რომელიმე სხვა მოდელთან შედარებით, არ ჩანს. წარმატებული მაგალითები (სტრასბურგის უნივერსიტეტი) ხანგრძლივ პროცესს, კარგ კომინუკაციას, კარგ დაფინანსებას და არსებული ინსტიტუციური კულტურის კარგად ცოდნას ეყრდნობოდა. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო აირჩევს ექსელენს სქემის შემუშავებას გერმანული ან სხვა მაგალითის მიხედვით, აქაც კარგად უნდა იყოს აწონ-დაწონილი დადებითი და უარყოფითი მხარეები, როგორცაა რეგიონული უთანაბრობა და სხვა.

5. საქართველოში გასატარებელი ღონისძიებები:

საქართველოში ბოლო დროს ხშირად ისმოდა საუბრები უსდ-ების ხარისხის ამაღლებისთვის ან მეტი ეფექტურობისთვის ახალი მოდელების შემოღების აუცილებლობის შესახებ. დაფინანსების სისტემა ისევე უნდა იყოს სისტემის ნაწილი, როგორც ავტორიზაცია/აკრედიტაცია, უსდ-ების ავტონომიურობის ხედავ და სხვა. ჩვენთან მოქმედი სისტემა დახვეწას საჭიროებს. ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია იქნებოდა, რომ დაფინანსების განაწილება არ იყოს მიბმული აკრედიტაციის გავლას და სხვა მოდელი ამუშავდეს. ეს ორი ნაწილი ერთმანეთისგან უნდა გაიყოს, თუ ჩვენ გვინდა, რომ ხარისხის განვითარება შინაგან აუცილებლობად იქცეს და არ იყოს არსებობისთვის თავსმოხვეული. აკრედიტაცია/ავტორიზაციას (მოდელი მიხედვით) შეიძლება ჰქონდეს დამატებითი წახალისების ფუნქცია. ასევე, ის მონაცემები, რომლებიც ყოველწლიურად გროვდება თვითშეფასების კითხვარებით, შეიძლება გამოყენებული იყო სხვადასხვა ფონდების, ბიზნესის და სხვა მხარეების მიერ გარკვეული კრიტერიუმებით უნივერსიტეტების შესაფასებლად, რაც თავისთავად იმუშავებს, როგორც ხარისხის ამაღლების ინსტრუმენტი.

წარმოდგენილმა კვლევებმა ასევე ცხადყო, რომ სახელმწიფოს მზადყოფნა, დააფინანსოს უმაღლესი განათლება და კვლევა, განათლების დონის აწევის უმნიშვნელოვანესი პირობაა, თუმცა არა ერთადერთი. ნებისმიერი ცვლილება სისტემურად უნდა ხდებოდეს. არასწორად განაწილებულმა პრიორიტეტებმა შეიძლება, ავნოს სისტემას.

6. სემინარის პრეზენტაციები

ინფორმაცია ჩატარებული კონფერენციის შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე - <http://www.eua.be/events/past/2014/EUA-Funding-Forum-Bergamo/Presentations.aspx>

ხარისხის უზრუნველყოფის მეცხრე ევროპული ფორუმი

„განათლების ცვლილება: გადასვლა სწავლებიდან სწავლაზე“


უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი

ირინე დარჩია

13–15 ნოემბერი, 2014, ბარსელონა, ესპანეთი

1. ღონისძიების პროგრამა.

Full programme

To view the full, final programme, please click [here](#). 

Programme overview

Thursday 13 November

- 14.00 Registration
- 17.00 Official Opening
- 17.15 Plenary Session I: The changing landscape of teaching and learning
- 18.30 Welcome Reception with a performance by the "Castellers"

Friday 14 November

- 09.30 Plenary Session II: Debate: The role of QA in the shift from teaching to learning
- 10.45 Coffee Break
- 11.15 Papers and Workshops – Session I
- 13.00 Lunch
- 14.30 Parallel Plenary Session I: Updates on new developments in quality assurance
- 15.45 Coffee Break
- 16.15 Parallel Plenary Session II: Updates on new developments in quality assurance
- 19.30 Optional Conference Dinner (separate fee)

Saturday 15 November

- 09.30 Papers and Workshops – Session II
- 11.15 Coffee Break
- 11.45 Plenary Session III: The modern “classroom”
- 13.00 Lunch and departure of participants

ღონისძიების ორგანიზატორი: ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA), ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი (ENQA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაცია (EURASHE), ევროპის სტუდენტთა კავშირი (ESU) - ე.წ. 4E.

2. ღონისძიების მონაწილეები

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები, რექტორები, პრორექტორები, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები,

სტუდენტები, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების წარმომადგენლები და მკვლევარები ბოლონის პროცესის მონაწილე ქვეყნებიდან (სულ 450-ზე მეტი მონაწილე).

Erasmus+ ეროვნული ოფისის დაფინანსებით, ღონისძიებაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტმა ირინე დარჩიამ (თსუ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი).

3. ღონისძიების მიზნები, ამოცანები და შედეგები

ხარისხის უზრუნველყოფის მეცხრე ევროპული ფორუმზე განხილული იქნა ამ სფეროს თანამედროვე განვითარების სხვადასხვა ტენდენციები და გამოწვევები, კერძოდ, ღონისძიების მთავარი თემები იყო: ა) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, ბ) პედაგოგიური თვალსაზრისით პერსონალის გადამზადების მნიშვნელობა, გ) ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობები და გამოწვევები, დ) არაფორმალური განათლების აღიარება. განხილულ იქნა აღნიშნული საკითხების გავლენა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებზე და, თავის მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის როლი მათი გადაჭრის პროცესში.

პლენარული სესიებისა და ვორკშოპების პროცესში, კონკრეტული შემთხვევები (case studies) და სხვადასხვა კვლევის შედეგები იქნა წარმოდგენილი. ფორუმის მონაწილეებს საშუალება მიეცათ აგრეთვე, რომ მიეღოთ უახლესი ინფორმაცია ევროპაში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ, კონტაქტები დაემყარებინათ თავიანთ კოლეგებთან მთელი ევროპის მასშტაბით.

ფორუმზე წარმოდგენილი პრეზენტაციებისა და გამართული დისკუსიების შედეგად გამოიკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგი ასპექტების მნიშვნელობა: ა) გათვალისწინება იმ სხვადასხვა გზისა და გარემოსი, რომლითაც და სადაც ხდება ცოდნის გადაცემა; ბ) აუცილებლობა იმისა, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა იმუშაონ ერთობლივად, რათა მოხდეს სწავლების ყველა ფორმის ხარისხის უზრუნველყოფა და მოხდეს როგორც სტუდენტების, ისე პედაგოგების მხარდაჭერა, რომ მათ ამ პროცესებიდან მიიღონ მაქსიმალური სარგებელი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფა ასოცირდება ადმინისტრაციულ პროცედურებთან, მოცულობით დოკუმენტაციასთან და მის ხშირად წინააღმდეგობრივ და ურთიერთგამომრიცხავ ინტერპრეტაციასთან. განათლების ევროპულ სივრცეში ეს უკვე გუშინდელი დღეა და ხარისხის უზრუნველყოფის ყურადღების ცენტრში მოქცეულია ძირითადად მეთოდოლოგიური და პედაგოგიური პრობლემატიკა. სწორედ ამ მიმართულებით სვლა უნდა იყოს ჩვენი განათლების სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტი და ამ თვალსაზრისით დასავლური გამოცდილების გაზიარება უალრესად აქტუალური და სასარგებლოა.

4. ღონისძიების რელევანტურობა საქართველოსთვის

ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფა 2005 წლიდან მოყოლებული არის საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის განუყოფელი ნაწილი, მისი ხარისხის შეფასებისა და განვითარების ძირითადი ინსტრუმენტი. დღეისათვის ქვეყანაში არსებული საგანმანათლებლო რეფორმების ახალი ეტაპის მომზადების და ევროპულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო სივრცესთან

დაახლოების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ევროპული ტენდენციებისა და პრიორიტეტების გაცნობასა და გაზიარებას.

5. ღონისძიების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები:

1. ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის პროცესში (განსაკუთრებით ეს შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას) მეტი ყურადღება დაეთმოს იმის დადგენას თუ: ა) რამდენად არის უზრუნველყოფილი სტუდენტზე ორიენტირებული გარემო (შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტების მოთხოვნების ჩათვლით); ბ) არა ქაღალდზე, არამედ რეალურად რა მეთოდების (რამდენად თანამედროვე მეთოდების) გამოყენებით ხდება სწავლა-სწავლება;
2. ზემოთ აღნიშნულის მისაღწევად სასურველია შემუშავდეს: ა) სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შეფასების გამჭვირვალე, მკაფიოდ ფორმულირებული და გაზომვადი ინდიკატორები; ბ) სწავლა-სწავლების მეთოდების შეფასების კრიტერიუმები და მიდგომები (საქართველოში არსებული მწირი რესურსებიდან გამომდინარე, აუცილებელი იქნება შესაბამისი ევროპული გამოცდილების გაზიარება, არსებული დოკუმენტების თარგმნა და მათი ადაპტაცია);
3. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის სისტემის გაუმჯობესება, სტუდენტების მხრიდან მიღებული უკუკავშირის ფრთხილი, მაგრამ რეალური გამოყენება;
4. ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სისტემები ყურადღებას უნდა უთმობდნენ არა მხოლოდ პროცედურებსა და რეგულაციებს, არა მხოლოდ ადმინისტრაციულ დოკუმენტაციას, არამედ სასურველია რომ მათი ყურადღების ცენტრში ნელ-ნელა მოექცეს მეთოდოლოგიური და პედაგოგიური პრობლემატიკა (მაგალითად: სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ადეკვატური მეთოდების დანერგვა და მათი გამოყენების შეფასება; სწავლის შედეგების როგორც ადეკვატური ფორმულირება, ისე სტუდენტის მიერ ამ შედეგების მიღწევის რეალური კონტროლი და გაუმჯობესება; კრედიტების გამოყენების შეფასება არა იურიდიული ასპექტებით ან მექანიკური მათემატიკური ანგარიშით, არამედ – მეთოდოლოგიურად გამართულად).

6. დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ/პრეზენტაციები – ხარისხის უზრუნველყოფის მერვე ევროპული ფორუმის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.:

ფორუმის სრული პროგრამა:

http://www.eua.be/Libraries/EQAF_2014/EQAF_2014_final_programme_1.sflb.ashx

ვორკშოპებზე წარმოდგენილი მოხსენებების რეზიუმეები:

<http://www.eua.be/events/past/2014/EQAF-2014/Breakout-sessions.aspx>

ვორკშოპებზე წარმოდგენილი პრეზენტაციები:

<http://www.eua.be/events/past/2014/EQAF-2014/Presentations/Breakout-sessions.aspx>

პლენარული სესიების პრეზენტაციები:

<http://www.eua.be/events/past/2014/EQAF-2014/Presentations.aspx>

პლენარული სესიების ვიდეო-ჩანაწერი:

<https://www.youtube.com/channel/UCyDeF1BQckVs6ryLdJvoHOg>

UNICA-ს სემინარი “სიახლე სწავლება - სწავლის მიდგომებში”

უმადლეის განათლების ექსპერტი ლალი ბაქრაძე
4-5 დეკემბერი, 2014, ლისაბონის, პორტუგალია

1. პროგრამა

1.1. სემინარის პროგრამა

4 დეკემბერი

11:00 - 12:30	<u>Registration,</u>
12:30-13:30	Welcome lunch
13:30-13:45	Welcome by Antonio RENDAS, Rector of Universidade Nova de Lisboa, Member of the UNICA Steering Committee
13:45-14:00	Welcome by Luciano SASO, Deputy Rector for International Mobility, Sapienza University of Rome, Member of the UNICA Steering Committee, Chair of the UNICA EduLab
14:00-14:45	Opening keynote speech: <i>15 years since the Bologna Declaration: expectations, achievements and prospects</i> by Pedro LOURTIE, former Member of the Bologna Follow-Up Group, former Secretary of State for Higher Education and former Director General of Higher Education
14:45-15:30	Gallery walk on the 15 years of Bologna Process implementation Facilitators: Raimonda MARKEVICIENE, Head of the International Programmes and Relations Office, Vilnius University, and Claire MACHERAS, Erasmus Institutional Coordinator, Université Sorbonne Nouvelle-Paris III
15:30-16:00	Coffee break
16:00-17:30	Student-Centred Learning from theory to practice: pathways to putting students at the heart of learning Session Chair: Antonio RENDAS, Rector of Universidade Nova de Lisboa, Member of the UNICA Steering Committee <ul style="list-style-type: none">• Session keynote: <i>The interaction between teaching and learning in higher education</i> by Liisa POSTAREFF, Ass. Professor/Lecturer in Higher Education, Helsinki University Centre for Research and Development of Higher Education (30 minutes)• <i>Putting the students at the heart of learning – the experience of NOVA Doctoral School</i> by Patricia ROSADO PINTO, Head of the Medical Education Department at Faculdade de Ciências Médicas (Faculty of Medical Sciences - FMS), Member of Teaching Quality Committee, Universidade Nova de Lisboa (20 minutes)• <i>PASCL – Peer Assessment of Student-Centred Learning in Higher Education Project</i> by Kris DEJONCKHEERE, UNICA Secretary General, and Marta RACHLEWICZ, UNICA Project Assistant (20minutes)• Questions and Answers (20 minutes)

17:30	Musical moment by Metropolitana
05.12.14	
09:00-11:00	<p>15 years of the Bologna Process implementation through the experiences of UNICA member universities: What have we achieved and how do we want to continue? Session Chair: Melita KOVAČEVIĆ, Professor, University of Zagreb, Member of the UNICA Steering Committee</p> <p>1. Results of the gallery walk by Raimonda MARKEVICIENE, Head of the International Programmes and Relations Office, Vilnius University, and Claire MACHERAS, Erasmus Institutional Coordinator, Université Sorbonne Nouvelle-Paris III (10 minutes)</p> <p>2. 3 case contributions</p> <ul style="list-style-type: none"> • <i>Bologna - a Sisyphus process?</i> by Nathalie JANZ, Deputy Head for the Vice-Rectorate for Teaching and Student Affairs, University of Lausanne (15 minutes) • <i>Charles University after 15 years of the Bologna Process</i> by Vera STASTNA, Head of the Analytical Unit, Charles University in Prague (15 minutes) • <i>Is Bologna responding to emerging student profiles?</i> by Maria DE LURDES CORREIA FERNANDES, Professor, former Vice-Rector for Academic Services, Students and Continuing Education, University of Porto (15 minutes) • Questions & Answers (10 minutes) <p>3. Bologna Process: lessons learned and building the future by Peter VAN DER HIJDEN, former Head of HE policies at DG Education and Culture, European Commission (40 minutes with Q&A)</p>
11:00-11:30	<u>Coffee Break</u>
11:30-12:30	<p>Essential tools for the implementation of European HE policies: open space Session Chair: Raimonda MARKEVICIENE, Head of the International Programmes and Relations Office, Vilnius University \</p> <ul style="list-style-type: none"> • <i>IMOTION: Integration and Promotion of Staff Training Courses at Universities across Europe</i> by Kris DEJONCKHEERE, UNICA Secretary General (5 minutes) • <i>European projects EGRACONS (European GRAding CONVersion System) and the Erasmus Without Papers</i> by Luciano SASO, Deputy Rector for International Mobility, Sapienza University of Rome, Member of the UNICA Steering Committee (10 minutes) • <i>GaragErasmus initiative</i> by Peter VAN DER HIJDEN, former Head of HE policies at DG Education and Culture, European Commission (10 minutes) • <i>Insights into the ECTS Guide 2015</i> by Raimonda MARKEVICIENE, Head of International Programmes and Relations Office, Vilnius University (10 minutes)
12:30-13:30	<u>Lunch</u>
13:30-14:30	<p>To MOOC or not to MOOC: Is that the question? Are MOOCs mighty enough to reinvent the University? Session Chair: Carla OLIVEIRA, Vice-Rector, Universidade Aberta</p> <ul style="list-style-type: none"> • <i>From Revolution to Evolution - New ways of thinking MOOCs</i> by Trine SAND, Director, University Education Services, University of Copenhagen (20 minutes) • <i>MOOCs</i> by Carlos CORREIA, Pro-Rector, Universidade Nova de Lisboa (20 minutes) • Questions & Answers (20 minutes)
14:30-16:00	Conclusions

2. სემინარის მონაწილეები

UNICA-ს სემინარში მონაწილეობას იღებდნენ ევროპის დედაქალაქების უნივერსიტეტის წარმომადგენლები, განათლების ექსპერტები და UNICA-ს წარმომადგენლები.

3. სემინარის მთავარი მესიჯი

სემინარის მთავარი მესიჯი იყო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და მიღწევები ამ მიმართულებით ბოლონის პროცესის 15 წლის მანძილზე. ბოლონის პროცესი ეს იყო “ჩუმი რევოლუცია”, რომელმაც არა მარტო შეცვალა უმაღლესი განათლების სტრუქტურა (3 საფეხურის შემოღება), არამედ სასაწავლო პროცესი გახადა სტუდენტზე ორიენტირებული, მ.შ. სადოქტორო დონეზეც.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მესიჯი იყო თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად მისი დროული გამოყენების აუცილებლობა სასწავლო პროცესში, კერძოდ ისეთის, როგორცაა მუკი (mooc).

4. სემინარის მასალების რელევანტურობა საქართველოსათვის

სემინარის პრეზენტაციები იყო მრავალფეროვანი და საინტერესო. რამდენიმე პრეზენტაცია შეეხებოდა სწავლება-სწავლის მიდგომებთან დაკავშირებულ კვლევებს. კერძოდ, (ა) ჰელსინკის უნივერსიტეტის კვლევა სწავლება-სწავლის მიდგომებისა და სტუდენტის სწავლასა და სასწავლო გარემოს შორის ურთიერთობის კომპლექსურობასთან დაკავშირებით; (ბ) UNICA-ს მიერ განხორციელებული პროექტი და კვლევა, რომელიც ეხებოდა უმაღლეს განათლებაში სტუდენტზე ორიენტირებული განათლების შეფასებას (peer assessment). კონკრეტული სახელმძღვანელო (PASCL guidelines) მომზადდა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის შეფასებისათვის.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ლისაბონის ნოვა უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლასთან დაკავშირებული პრეზენტაცია, რომელიც შეეხებოდა სადოქტორო დონეზე სტუდენტზე ორიენტირებულ განათლებას. ზალცბურგის პრინციპებზე დაყრდნობით, უნივერსიტეტში განხორციელდა სადოქტორო პროგრამების რეფორმირება. სადოქტორო სკოლა შეიქმნა 2013 წელს, რომლის მიზანია დოქტორანტების პიროვნული და პროფესიული განვითარება ტრანსფერული უნარების გამომუშავებით, ასევე ტრანსვერსული აკადემიური საქმიანობის ორგანიზება და დისკუსიებისათვის ღია სივრცის ჩამოყალიბება. სადოქტორო სკოლა ემსახურება მთელ უნივერსიტეტს. ზოგადი/ტრანსვერსული უნარების კურსები ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: კვლევითი უნარები; ეთიკა და სოციალური გააზრება; კომუნიკაცია; პიროვნული განვითარება; ჯგუფში მუშაობა და ლიდერობა; კარიერის მენეჯმენტი; მეწარმეობა და ინოვაცია. სასწავლო კურსები ძირითადად ხორციელდება ინგლისურად და მინიჭებული აქვს კრედიტები. სადოქტორო სკოლა ასევე ახორციელებს 2 დღიან, არასავალდებულო, ტრენინგებს დოქტორანტების ხელმძღვანელებისთვის შემდეგ საკითხებზე: ნოვას სადოქტორო

განათლება(რეგულაციები), ინფორმაციული წიგნიერება, ინტელექტუალური საკუთრება და კვლევის ეთიკა.

ბოლონის პროცესის 15 წლის განმავლობაში უნივერსიტეტებში განხორციელებული რეფორმებისა და მიღწეული შედეგების შესახებ პრეზენტაციები გააკეთეს პრადის, ლოზანისა და პორტოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. სამივე პრეზენტაცია შეეხებოდა იმ სტრუქტურულ და ხარისხობრივ რეფორმებს, რომელიც განხორციელდა ბოლონის პრინციპებზე დაყრდნობით.

- ლოზანის უნივერსიტეტის 2009 წლის კვლევის თანახმად სტუდენტების 75% კმაყოფილია “ბოლონის კურიკულუმით”. სტრუქტურის ცვლილებამ, უფრო იოლი გახდა კურიკულუმის მთელი ლოგიკის ცვლილება და შედეგზე ორიენტირება.

- პრადის უნივერსიტეტში მიუხედავად გატარებული წარმატებული რეფორმებისა, მაინც არსებობს ნოსტალგია ძველისადმი, განსაკუთრებით აკადემიურ პერსონალში. ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა ის ფაქტი რომ საბაკალავრო-სამაგისტრო დონეზე ორი თეზისია მოსამზადებელი ერთის მაგივრად.

- პორტუგალიის უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმა ნელა და თანამიმდევრულად მიმდინარეობდა. ფორმალური ცვლილებები განხორციელდა 2006 წლიდან. ხარისხის უზრუნველყოფაც კი 2007 წელს შემოიღეს კანონით. სტრუქტურული ცვლილებებთან ერთად აღინიშნა, რომ განსაკუთრებით შესამჩნევია ინტერდისციპლინურობის წინ წამოწევა, გაძლიერდა სწავლება-კვლევის ურთიერთობა, გახდა კურიკულუმები უფრო მოქნილი.

განათლების ექსპერტმა პიტერ ვან დერ ჰეიდენმა ბოლონის პროცესი შეაფასა, როგორც “ჩუმი რევოლუცია” და მიუთითა იმ სამ მნიშვნელოვან მიმართულებაზე, რაზეც ბოლონის მომავალმა სამიტმა უნდა გაამახვილოს ყურადღება:

1. ბაკალავრიატი ყველასთვის;
2. სამაგისტრო პროგრამის შესწავლა საზღვარგარეთ;
3. ევროპა, როგორც მსოფლიოს სადოქტორო სკოლა (ინოვაციური სადოქტორო სკოლები და ახალი სავიზო რეჟიმი).

სემინარზე განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია პრეზენტაციებმა მუკის (mooc) შესახებ. კოპენჰაგენის უნივერსიტეტი სერიოზულად მუშაობს ამ მიმართულებით. ის შეუერთდა კურსერას 2013 წელს.

რატომ მუკი, ის არის:

- უკეთესი განათლება;
- ცოდნის გაზიარება;
- საერთაშორისო ჩართულობა;
- უწყვეტი განათლება;
- პლატფორმა საუნივერსიტეტო კვლევის გასაშუქებლად.

მუკისთვის უნივერსიტეტში შექმნილია შესაბამისი სტრუქტურა. ის საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსებს, თუმცა ონლაინ სტუდენტების რაოდენობაც მკვეთრად იზრდება. თუ უნივერსიტეტი აპირებს შეუერთდეს მუკს, ეს უნდა იყოს სტრატეგიული გადაწყვეტილება, კარგად გააზრებული და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი.

მასპინძელი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე ხაზი გაუსვა მუკის მნიშვნელობას, მისი განხორციელების აუცილებლობას და პარალელურად მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა. სემინარის მონაწილეები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ამ კურსების აღიარებითა და ხარისხის უზრუნველყოფით. ამასთან, ტრადიციული სასწავლო პროცესის მუკის კურსებით ჩანაცვლებით აკადემიური პერსონალის შემცირების საფრთხეებზეც გაამახვილეს ყურადღება.

სემინარზე პლენარულ სესიებთან ერთად საინტერესო იყო ე.წ. “გალერეის დათვალიერება” სადაც 5 დაფაზე მოცემულ სწავლება-სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ჯგუფებად დაყოფილი მონაწილეები, დადებით და უარყოფით მხარეებს აფასებდნენ. დისკუსია მიმდინარეობდა შემდეგ საკითხებზე:

- კურიკულუმის განვითარება;
- მობილობა;
- მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა;
- ხარისხის უზრუნველყოფა;
- სამომავლო განსახილველი საკითხები.

სემინარზე წარმოდგენილ იქნა ასევე ინსტრუმენტები ევროპის უმაღლესი განათლების პოლიტიკის განხორციელებისათვის. კერძოდ,

- IMOTION;
 - EGRACONS (European GRAding CONversion System);
 - ECTS - 2015 სახელმძღვანელოს პროექტი;
- (იხ. სემინარის პრეზენტაციები).

5. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში გასატარებელი ღონისძიებები:

5.1. საუნივერსიტეტო ასევე უნივერსიტეტთა შორის სადოქტორო სკოლების ჩამოყალიბება არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი დოქტორების მომზადების საქმეში. საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ჩართვა, მაღალი დონის კვლევა შესაძლებელია მხოლოდ რესურსების გაერთიანებით. ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სადოქტორო საფეხურზე არა თუ ფაკულტეტები, არამედ უნივერსიტეტები ერთიანდებიან უკეთესი შედეგის მისაღწევად.

5.2. მნიშვნელოვანია მუკთან დაკავშირებული სემინარების ჩატარება საქართველოში. ამ მიმართულებით უსდ-ს მიერ სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია ინფორმირებულობასთან.

6. სემინარის პრეზენტაციები

<http://www.unica-network.eu/event/unica-edulab-meeting>